



# ქვემო ქართლი

1991  
ნაშთაბათი  
24  
სამკამბარნი  
№ 110 (10503)  
ფასი 5 კაპ.

საქართველოს  
საგროკულტურული  
და სპორტული  
მინისტრის  
გამოცემის  
გამოცემის  
გამოცემის

ქ. ჟუგდიდისა და ჟუგდიდის რაიონის განვითარების და საკრებულოს ორგანო

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესანიშნავი

19 სექტემბერს მუშაობას შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა. სხდომაზე მოწვეული იყვნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები გაუქმებული საქართველოს კომპარტიისაგან, მინისტრთა კაბინეტის წევრები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის გახსნის შემდეგ გამოვიდა დეპუტატი ირაკლი მელიაშვილი, რომელმაც წაიკითხა დეპუტატთა ჯგუფის განცხადება საპარლამენტო ფრაქციის „ქართვა-81“-ის შექმნის შესახებ. მასთან ერთად მასში შედიან უზენაესი საბჭოს წევრები თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, თენგიზ დებანიძე, მერაბ ურიდია, მალხაზ კვანცილაშვილი, გელა კობერიძე და მერაბ დელიშვილი.

განცხადება დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რომლებიც წარმოადგენენ სრულიად საქართველოს მერაბ კობახიას საზოგადოებას, გააკეთა დეპუტატმა დავით კუპრეიშვილმა. იგი შეიტაცა პრეზიდენტმა ამა წლის 17 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით რომელიც უარყოფილია ამ ჯგუფის წინადადებაზე შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან რესპუბლიკის გამოყვანის შესახებ.

საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ სახელით დეპუტატმა დავით არევაძემ განაცხადა, რომ საქართველოს

ტელევიზია და რადიომაუწყებლობა განხილეს მოსახლეობის დემოკრატიის წყარო. მან დასვა საკითხი მისი ხელმძღვანელობის გადადგომის შესახებ და მოითხოვა განხილული შენარჩუნდეს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.

ერთ საათზე მეტი დასჭირდა დეპუტატებს იმისათვის, რომ დამტკიცებინათ დღის წესრიგი. მასში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ უზენაესი საბჭომ გადაწყვიტა დაეყო იგი ორ ნაწილად პარლამენტის პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. გადაწყდა პოლიტიკური საკითხები განეხილათ სესიის მუშაობის პირველ დღეს. ხოლო ეკონომიკური — მეორე დღეს.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატთა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის შოადილის გია ფირცხალაიშვილის წარდგინით ცნეს ლია ანდლუაძისა და გიორგი მარჯანიშვილის, აგრეთვე აკაკი კვიციანიას სადეპუტატო უფლებამოსილება.

პარლამენტული დისკუსიის საგანი გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონში დამატებით შეტანის საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საკითხი წინასწარ არ შეისწავლა უზენაესი საბჭოს მუდმივმა იურიდიულმა კომისიამ, მისი განხილვა გადაიდო. ამავე მიზეზით გადაიდო რესპუბლიკის გაუქმებული კომპარტიისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებების საკითხის განხილვაც.

რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ

საკითხზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან აღნიშნა ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მკვეთრი გამწვავება. გაანალიზა მიზეზები, რომლებსაც სისხლისღვრა მოჰყვა და ამისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა არა მარტო ოპოზიციას, არამედ ხელისუფლებას, რომლებიც პარტიკაში არ იყენებენ კანონის ძალას, რომლის უზენაესობის დამკვიდრების გარეშე სიმშვიდე საქართველოში არ იქნება. პრეზიდენტმა საპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდა, ნუ შეუერთდება „ქუჩის“ ოპოზიციას. მან უარყო ფსევდო-ოპოზიციის მრავალი ბრალდება როგორც თავისი მისამართით, ისე კანონიერად არჩეული ხელისუფლების მისამართითაც. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ერთხელ კიდევ მოუწოდა ოპოზიციას კონსტრუქციული დიალოგისაკენ და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საქართველოში სხვადასხვა ძალების დაპირისპირების შედეგად არ იქნება არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. ასეთ შემთხვევაში შეძლება გაიმარჯვოს მხოლოდ ცენტრმა, იმპერიამ. ამიტომ, თავიდან რომ ავიცილოთ კატასტროფები, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიწვიოთ ურთიერთთანხმობის გზები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძალზე საქირთა შევიარჩუნოს პარლამენტი, ავმაღლდეთ პირად პრეტენზიებზე, გავერთიანდეთ და ერთობლივი ძალისხმევით ვიხსნათ საქართველო, მივაღწიოთ მის სრულ დამოუკიდებლობას.

განსახილველ საკითხზე თავიანთი პოლიტიკური კავშირების, პარტიების, საზოგადოებების, ფრაქციების სახელით თანამოსხენებებით გამოვიყენებთ დეპუტატები თეიმურაზ ქორიძე, ვაჟა ალამია, აკაკი ასათიანი, ვახტანგ

ცაგარეიშვილი, ნემო ბურჭულაძე, ნოდარ ნათაძე, გიორგი მარჯანიშვილი, ემზარ გოგუაძე, თედო პაატაშვილი, შემდეგ გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ იმნაძე, გურამ პეტრიაშვილი, მია მამუკაიანი.

დეპუტატების მიერ დასმულ მთელ რიგ კითხვებს უპასუხა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

20 სექტემბერს გაგრძელდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა. სხდომის დაწყების წინ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა გააკეთა განცხადება, რომელიც, ეხებოდა წინ დღით ტელევიზიის პროგრამა „რომანტი“ გადაცემული სხდომის მუშაობის პირველი დღის საუბრის, აღნიშნა რა, რომ მასში გამოტოვებული იყო დეპუტატთა მთელი რიგი გამოხატვები, მან დასწრეთ აღუთქვა, რომ ტელეკომპრატევი სხდომის პირველი დღის შესახებ განმეორებული იქნება, მაგრამ უკვე მთლიანად შეუკრძავდა.

შემდეგ სიტყვა განცხადებისათვის ითხოვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიარ ხაბულიანმა.

უზენაესი საბჭო გულთბილად მიესალმა ინგუშეთის დემოკრატიული პარტიის დელეგაციას. შემდეგ განხილდა კამათი რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ დეპუტატები დავით კუპრეიშვილი, ავთანდილ რციხაძე, თეიმურაზ მდინარაძე, რომერტ პეტრიაშვილი, თამაზ დიასამიძე, მადეა თუშმალიშვილი, რუსლან ლონდაძე, გელა ჩორგოლაშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, ვიქტორ დომუხოვსკი, მირიან მირიანაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, დავით ბერძენიშვილი, მერაბ ურიდია, ირინე ტალიაშვილი, მია ნათაძე, ლია კაცაძე, კობე ფირცხალაძე.

აკაკი ასათიანი, თამაზ გამყრელიძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცუყრიანი.

საათზე ნაკლებ ხანს გრძელდებოდა სესიის საღამოს სხდომა. მან მუშაობა შეწყვიტა რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას წინადადებით, რომელმაც დეპუტატებს აცნობა, რომ ამავე დღის რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე შიტინგზე გაიხსნის მოწოდებანი შტურმი თიანეთის მთაბრძოლის სახლი, გაათავისუფლონ სასურობლოებიდან პატიმრები. განუპირობებელი შედეგების თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტმა შესთავაზა უზენაეს საბჭოს შეწყვიტოს სესიის მუშაობა, დეპუტატებს კი — გაეშარტონ მიტინგზე, რათა თავიდან აიცილონ შესაძლო აქციები.

მანამ კი, სანამ სესია შეწყვიტდა, მუშაობას დეპუტატებმა მონაწილეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ საკითხის გამო რეზოლუციის ორი ალტერნატიული პროექტი, რომლებიც შემოიტანეს საპარლამენტო ფრაქციამ „დემოკრატიული ცენტრმა“ და ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. აერთა გაზიარების შემდეგ უზენაესი საბჭომ გადაწყვიტა მანამ ადლოს რეზოლუციის შეთანხმებულ ტექსტში და სესიის მორიგ სხდომაზე წარმოადგინოს იგი დასამტკიცებლად.

ამის შემდეგ მოისმინეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დიარ ხაბულიანისა და საქართველოს გენერალური პროკურორის ვახტანგ რაჭაძის ინფორმაცია 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ თქვა, სესიის მუშაობის განახლების დღეს გამოაცხადენ დამატებით.

სამინფორმირი.

კანონი მიწის უზსახვა: რეკონსტრუქცია

### სელ-ფონს

მიწის შესახებ კანონში ყურადღებას იპყრობს ასეთი დებულება: მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. ეს ის გარანტიაა, რომელიც ამერიიდან გამოიტყვევს ერის ქონების ხელყოფას, ათასგვარი დარღვევების ჩადენას მიწათსარგებლობაში.

შეუძლებელია არ დაეთანხმოს კანონში ჩაწერილ შემდეგ სიტყვებს: მიწის მიღების შესაძლებ

### ბაუსსნის მეურნე კაცს

ბლობა მიეცემა იმათ, ვინც დაამუშავეს მიწას. ამ დოკუმენტში ნათლად არის გამოკვეთილი აზრი იმის შესახებ, რომ მიწების საკუთრებაში გადაცემის პროცესმა უნდა გამოორიცხოს ყოველგვარი თვითნებობა. ძალზე მრავალმთქმელი შემდეგი დებულება: მიწების აღრიცხვითი მუშაურობებისათვის მიწის ნაკვეთის დაბრუნება საკუთრებად ან მფლობელობაში

არ დაიშვება. მათ მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში მიეცემათ საერთო საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი თავისი მრავალმხრივობით ნამდვილად შენაძენია ჩვენი ხალხისათვის. ეს არის დამადასტურებელი იმ რეალობისა, რომ ქართველი ხალხი გადაჭრით დაადგა ეკონომიკის ლბერალიზაციის გზას.

დ. მინდიაშვილი, ჩვენა კორ.

### თქვენთანაა ზუგდიდი

მძიმე დღეები უდგას საქართველოს. ოპოზიციონერები, რომელთა მხარეზე საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილია, ყოველი ღონისძიებით ცდილობენ სახელი გაუტყონ ხალხის ნებით არჩეულ პარლამენტს და კატეგორიულად მოითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას. შუღლსა და მტრობას თესავენ და გათიშულობა შეაქვთ ხალხში

ამ ძნელდრობის ფაზს, როცა მთელი საქართველო ფეხზე დგას, როცა ქულზე კაცი გამოდის რესპუბლიკის პარლამენტისა და პრეზიდენტის დასაცავად. სამშობლოს სიყვარული გულანთებული ათასობა უზადოდელი გაემგავრა მშობლიურ დედაქალაქში. ვკვარა, რომ ქვეყნარტის სალი აზრი გაიმარჯვებს.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი.



# ბოლოს და ბოლოს სომ უნდა დაკისრეთ

საქართველოში ამჟამად შექმნილ ვიკტორიულ სიტუაციას შეუძლებელია მშვიდი ნერვებით რეაგირებადეს კაცი. ვნებათა დღევანდელ კულმინაციას მიადრია, აშკარად გამოიკვეთა საზოგადოების ორი ფრთა. ერთი რგს პუბლიკის პრეზიდენტს და უზენაეს საბჭოს უტყუარ მხარს. მათ ურყევად სჭერათ, რომ ამ უკანასკნელთა მიერ აღებული პოლიტიკური კურსი სწორია და იგი თანმიმდევრულად, დღითიდღე გამოიღებს კეთილ ნაყოფს. მოსახლეობის ამ ნაწილის რაოდენობა ერთი სხვადასხვა მეთოდით იმ მოქალაქეებთან შედ-

არებით, რომლებიც თავის თავს ოპოზიციას უწოდებენ. მე არ ვიყუარებ მშრომელთა იმ კატეგორიას, რომლებიც რაღაც შიშითა და ძრწოლით უტყუარ იან ოპოზიციას. მაგრამ ამასთან შეუფლება უპარტიზოს მტანჯველი ვრცობა იმის გამო, რომ ურთიერთ დავა და კამათი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. აშკარა დამირისპირებასა და კონფრონტაციასი გადადის. არცერთი ბეჭედიმყოფელი არ ამტკიცებს იმას, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნაკლო და უშეცდომოა. მას სამართლიანად მიუთითებენ კიდევც, რომ უფრო

გადაწვევით ნაბიჯები გადადგას ეკონომიკის ლიბერალიზაციის გაღრმავების, დემოკრატიული მიქანიზმების დამკვიდრების სფეროში. თვითონაც დამაჭერებლად, გულანდობლად ისაუბრა ამის შესახებ ამასწინანდელ სესიურე. ოპოზიციას შესთავაზეს გულდინჯი დიალოგი გადასაწყვეტ პრობლემებზე. ახლა, ვისაც ნამდვილად ყარგი უნდა თავისი სამშობლოსთვის, თანხმობა გვებს უნდა ეძებდეს და არა კონფრონტაციის გაღრმავების მიზეზებს.

გვეყვარს ურთიერთქიზობა და პირადი ამბიციების დონეზე პოლიტიკური ურთიერთობების გარკვევა, გონს მოვეგოთ, კალაპოტში ჩავდგეთ მანამ, სანამ ჩვენს თვალწარმტაც ქვეყანას გარეშე ძალა არ დაუფლებია.

ბ. ნაყიფიძე,  
ჩვენი კორ.

## მოსაზრება რატომ ეწოდება „ჭაქვინჯი“?

არის მოსაზრება და ეს ახლანდელ გამოცემულ ერთ-ერთ ბროშურაშიც გამოვრებულია, რომ სოფელ ჭაქვინჯში (ამჟამად ჭაქვინჯი და ჭიხაჭყაძე) არის ციხე (ჭიხა), სადაც მტრის შემოსევის დროს თავს აფარებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ჭიხას შიგნით იყო ღრმა ჭაინჯა, საიდანაც იღებდნენ წყალს. ამიტომ დაერქვაო სოფელს ჭაქვინჯი, ესე იგი — „ქიხინჯი“ (ძირი-ქვინჯი).

ეს თვალსაზრისი არ არის სწორი.

წინაპრების გადმოცემიდან ვიცი და ეს მეცნიერულადაც დადასტურებულია, რომ სავერგლოს ძველ ტერიტორიაზე შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ ქართველური ტომები — ლაზები, ჭანები და სხვები. ლაზები მდინარე ჭოროხის გაღმა (ამჟამინდელ თურქეთის ტერიტორიაზე) სახლობდნენ. მტრის შემოსტების შედეგად ჭანები ჭავჭავაძე გადასულან და დასახლებულან მდინარე ჭანისწყლის ნაპირას. ამიტომ ეწოდა მდინარეს „ჭანისწყალი“; მათი მეოთხრი (ხელმძღვანელი) დასახლებულა აწინდელ წალენჯიხაში და იქ აფრია ციხე-სიმაგრე-ჭიხა. ამიტომ ეწოდა წალენჯიხას „წალენჯიხა“, რაც ნიშნავს „ჭანების ციხეს“. ამ დასახლების ქვედა ბოლო ყოფილა ჭაქვინჯში. ამიტომ დაერქვა სოფელ-დასახლებას „ჭაქვინჯი“, ე. ი. ჭანების ქვედა ბოლო („ქვინჯი“ ბოლოს ნიშნავს).

ნათ ჯიბია,  
ვებერანი პედაგოგი.

## კვალიმომხივება კვაყოფილნი ვართ

ამასწინათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა ნაწილი მიხეილის ასულმა გენერალმა საკუთარი სახსრებით გამოცა წიგნი „ამბილტბული ერისათვის“, რომელიც ეძღვნება საქართველოს ეროვნულ განმანათლებლებს. მოძრაობის ლიდერებს სულწაბ მეჩაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას, ნაპროში დიდი ადგილი აქვს დათმობილი 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. წიგნი მოლიანად საქველმოქმედო-აგრორის გადაწყვეტილებით წიგნიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილი ჩაერისება 9 აპრილის დაღუპულთა, მიწისძვრით დაზარალებულთა და სხვა მჩაბლოდან ლტოლვილთა ოჯახებს, კოჭრის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს. დარჩენილი თანხით აგრორი თავისი მშობლიუ-

რი აბაშის რაიონის ერთერთ სოფელში ააშენებს მაცხოვრის კარის ეკლესიას.

ამასწინათ ენგურელმა შექალდეებმა სასიხარულო ცნობა მივიღეთ. ქალბატონმა ნანულიმ ჩვენი საწარმოო გაერთიანების თანამშრომლის შვილის უტყუაროში სამკურნალოდ გასაგზავნი გეგი გენადის ძე კეკელიძის ანგარიშზე ჩარიცხა ხუთასი მანეთი.

ბავშვის მშობლებთან ერთად ენგურელი მექალაქეები დიდად კვაყოფილნი ვართ ქალბატონი ნანულის ასეთი ქველმოქმედების გამო.

ღმერთმა გვირავლოს ასეთი მამულიშვილები.

ბ. მისნიძე,  
„საქალაქმშენის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის შოადგილ-

საქართველოს სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დღევანდელ ეტაპზე გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან მუშაობას, ჩვენს მომავალ ბეჭად განსაზღვრავს თუ როგორი სულისკვეთებით აღიზრდებიან ჩვენი შვილები.

ნორმალური პიროვნების ჩამოყალიბება უპირველესად ოჯახში იწყება. ყოველი შეგნებული მშობელი ვალდებულია აღზარდოს შვილი სამშობლოს სიყვარულით, შთაგონოს თავისუფლების ფასი. ოჯახური კონფლიქტებით, მშობლებისგან მიღებული უარყოფითი მაგალითებით ახალგაზრდას გამოუმუშავდება არასასურველი ჩვევები, რაც მათ აღვილიად უბიძგებს არასწორი მოქმედებისაკენ.

ქალიან სწორად მშობელი თავად უწყობს ხელს შვილის უმართებულო ცხოვრებას. ფუფუნებაში აღზრდით ისინი ცდილ

## მამულისათვის ალგზარდოთ ახალგაზრდები

ობენ შვილები ყოველნაირად უზრუნველყონ „უღებო ყურადღება“ კი ახალგაზრდებს დასაწყისშივე უბიძგებს სიზარმაცისკენ, აჩვენს ინერტულობას, შრომის უნარსა და ცოდნის დაუფლების სურვილს უყარავს. ამას ემატება მოზარდთა გარკვეული ნაწილის გატაცება ასაკისთვის ურუფერებელი უხამსი ფილმებით, ვიდეო ჩანაწერებით. ახალგაზრდის ჩამოყალიბების მოვარი, კერა სკოლა, სადაც სწავლობს თავისი სამშობლოს ისტორიას, ლებულობს ცოდნას მის ბუნებრივ სიმდიდრეზე. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი სკოლები მოკლებულია დისციპლინას.

ახალგაზრდების აღზრდაზე საუბრისას უსათუოდ უნდა

გავამახვილოთ ყურადღება მათ სამხედრო მომზადებაზე. მათ საყოლო ასაკიდან უნდა მომზდობდეს გარკვეული სამხედრო ცოდნა, რათა გვარდიულ არმიას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჭარბს, მილიციის მუშაკებს პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად ბქონდეთ საფუძვლიანი ცოდნა ტექნიკის, ბრძოლის ტაქტიკის, იყვენ ფიზიკურად ძლიერნი.

ყოველნაირად უნდა ვეცადოთ გვერდი არ ავუაროთ ამ სასიკეთო საქმეს. საქირკა მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს, შევქმნათ უზრუნველყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ წესრიგს.

შ. ლემონჯაბა,

## დროულად დავაგონაოთ ჭირნასული

ქვეყნა ძალაშია სოფლის მეურნეობის საკითხებზე პრესაში დამკვიდრებული ყველაზე მორგებული რუბრიკა — „გაზაფხული ერთი დღე წელაწადს კვებას“. რაოდენ დიდი შინაარსია ჩაგმული ოთხი სიტყვისგან შემდგარ წინადადებაში, თუ გაზაფხულის პირველი დღეაწად მოსავალს საფუძველი არ ჩაუყარე, შემოდგომაზე ვერაფერს მოიპოხე. ხელიდან გაშვებული შემოდგომის ყოველი დღე ეს ხომ ათეული ათასობით მანეთის ღირებულების სასოფლო სამეურნეო ბროდუქტს დაზარაბია, რომლის დროც აღსაც მწვავედ განიცდის დღეს ჩვენი მოსახლეობა. ყველაფერი უნდა ვაღონოთ იმისათვის, რომ ღრმულად დავაგონაოთ კირნასული, გონივრულად გამოვიყუროთ მათს განკარგულებაში არსებულ ტექნიკა-ურუნველყოფით მათს კრეფის, მარცვლეულის დამზადების, მეცხოველეობისათვის ბეჭიან საქვერე ბაზის შექმ-

ნის პროგნოზით გათვალისწინებულად დავალები.

ამ საკითხების ირგვლივ საქმიანი საუბარი გაიმართა 17 სექტემბერს პრეფაქტურასთან შექმნილი მოხალეობის უდანაკარგოდ აღების საკოორდინაციო შტაბის მორიგ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ჩამორჩენილი საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და ამ სოფლების საკრებულოთა გამგებლები.

ინფორმაცია, რომლითაც გამოვიდა სოფლისა და საბუნებო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ს. ლაგვიანი ავა მოიცავდა რაიონში მოსავლის აღებისათვის მზადების საქმეში არსებული მდგომარეობის სრულყოფილ ანალიზს. აქვე დიდა დავიდი დაეთმო ჩაის, აბრეშუმის წარმოების, სილოსის ჩადების საკითხებს. ითქვა სოფლის მეურნეობის ამ წამყვან დარგებში მოპოვებულ როგორც წარმატებებზე ისე ნაკლებობებზე. დასახლებულ იქნა ჩაის წარმოების საქმეში დაწინაურებული საზოგადოებრივი მეურნეობები (ინგირის აგროსაწარმოო კომბინატი შედაწვერის მეურნეობა, ახალბასთუმნის, ახალკახათის, კორცხელის, რიყის კოლმეურნეობები) რომლებმაც 16 სექტემბრისათვის უზრუნველყვეს პროგნოზით გათვალისწინებული წლიური დავალება.

სხდომაზე სამართლიანი ხაზედური გამოითქვა იმ საზოგადოებრივ მეურნეობათა მისამართით, რომლებსაც დღემდე არ დაუწყიათ სილოსის დამზადება. უმასუხისმგებლოდ მოეკიდნენ აბრეშუმის პარკის წარმოების საქმეს. უკან სწევნ რაიონის საერთო მაჩვენებლებს მეჩაიეობაში. სს.დ.მ.მ.მ. ურადღება გა-

მხვილდა აგრეთვე თსსოვანის ხილის დამზადებაზე და მარცვლეული კულტურების უღანა. ქარგოდ აღებისათვის მზადების საკითხებზე.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ჩამორჩენის დაძვევის კონკრეტულ დონისძებებზე გაა მხვილეს ყურადღება ახალსოფლის, ჩხორის, კახათის ჭიხაჭყაძის სოფლის საკრებულოთა გამგებლებმა ფ. ქაღარამ მ. ჩახაიძე, ჩხეტაძე, მ. ებრაღიძე, ნაცატუს, ყულიშყარის, ჩხორის, რიყის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა გ. ნებუაშ, ა. შამახაძე, ბ. თოლორაიამ, ნ. რიგავამ, შ. შიქავამ, ტ. პაქვირიამ, ე. ვეიუამ, საკოორდინაციო შტაბის წევრებმა გ. თოლოუამ, ზ. წულუფისკირმა, ს. ყავლაშვილმა. მ. შიქავამ ავტოკოლონიის უფროსმა გ. ვახტანგიამ, ნავთობბაზის დირექტორის მოადგილემ დ. კვარაცხელიამ და სხვებმა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საკოორდინაციო შტაბის თავმჯდომარე მ. ჩუხუა.

## კორცხელი

კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი შ. ჭიბლაძე გეტყობენებს:

— 20 სექტემბრისათვის მეჩაიე მშრომლებმა მრეწველობას 1470 ტონის ნაცვლად მიყიდეს 1480 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

საერთო წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ იმ ბრგადის წევრებს, რომლებსაც გ. კვარაცხელია, გ. კვარაცხელია, ა. კვარაცხელია, ფ. ფელანგია, ც. ძანაძე, ბ. ლაგვიანი ხელმძღვანელობენ.

თავი ისახელეს მეჩაიეებმა: გარდო, მედიკო, კობე, ფრიდონ კვარაცხელიებმა, ზოია რაფაეამ ნაზო, ლილა ბაკარანძეებმა. მზია, როზა, ნაზი რაფაეებმა. ზურაბი, ირაკლი თორღებმა. ნელელის ტრანსპორტირების საქმეს მთელი მონღომება მოახმარეს მძღოლებმა: ტრიხტან ლაგვილავამ, თონია, სოსო კვარაცხელიებმა, იგორ ლაშხიამ, ვახტანგ რაფაეამ, შირიმ ქობალიამ, ინდიკო ქობალიამ და სხვებმა.

# გვერდოვანი კონსტრუქციის მოსახლეობასთან

ქუჩის კომპლექსები ავლენ რიგობრივ თვითმკვლევ ორგანიზაციას, რომლებიც ადგილებზე წყვეტენ მეტად საკონსტრუქციო საკითხებს.

მათ საქმიანობაზე ვესაუბრეთ პრეფექტურის მუშაკს დავით ჩიქოვანს:

— ბატონო, დავით, მოკლედ რომ არ მოხაზავდით სადღეისო აქტუალური ამოცანების იმ წრეს, რომელთა გადასაწყვეტად ძალიან მძიმე არ იზრუნებენ დღეს ქალაქის ქუჩის კომპლექსები?

— უპირველეს საბრძოლო ამოცანად ავლენ რიგობრივ ქუჩების კეთილმოწყობის საკითხი. ამ გზითვე ასეთ მაგალითს მოვიყვანდი: რუსთაველის №3 ქუჩის კომპლექსის თავმჯდომარემ ე. ჭირიამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ერთად ზედღეწვიტა ქუჩის ტრანსპორტის მოსაფლავების საკითხი. ამ საქმეში მას მხარდაჭერა აღმოუჩინა საგზაო სამმართველომ, ფულს უხდის საბინაო-კომუნალური განყოფილება, სულ მოკლე დროში დაგებულ იქნა შავი საფარი 300 მეტრზე, ამ საქმეების დამთავრებას გარანტირებენ სექტემბრის ბოლოსათვის.

უნდა ავლიწონ სვერდლოვის №1, ბაქოს, რუსთაველის, ჩიტაის, ცოტნე დადიანის, სვანეთის, წერეთლის და ზოგიერთი სხვა ქუჩის კომპლექსების

ექტორი მუშაობა. აღნიშნულ უბნებზე წარმოებს საქანალიზაციო და კეთილმოწყობის ღონისძიებები.

სამართლიანობა მოითხოვს იმის ხაზგასმას, რომ ქალაქის მოსახლეობის უმეტესობა გარკვეულ პრეტენზიებს უყენებს ქალაქის კომუნალურ სამსახურს, კერძოდ, მტკიცებულად აღიქმება მთელი რიგი ქუჩების, მათ შორის სამეგრელოს, ბათუმის, კლდიაშვილის, ბენდელიანის და ზოგიერთი სხვა ქუჩების მოსაფლავების საკითხი. აღნიშნულ განუხორციელებლობა, კომუნალურ სამსახურს გააჩნია სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისად წლის ბოლომდე უნდა კეთილმოეწყოს რამდენიმე ქუჩა.

რიგი ქუჩის კომპლექსები პრინციპულად აყენებენ მუშაობის, წყლით მომარაგების, კანალიზაციით უზრუნველყოფის, მწვანე საფარის მშენებლობის და სხვა საკითხებს.

— რას გვითხრობთ ქუჩის კომპლექსების საქმიანობის დამარჯვებულნი და მარცხდებულნი საქონელმძღვანელები?

ნორმატივების განახლების შესახებ?

— დრომ უმწვევად დააყენა იმის საკითხი, რომ ქუჩის კომპლექსების საქმიანობის მომწესრიგებელი დებულებები გადასინჯულ იქნას. ამჟამინდელი საკრებულოების უფლებამოსილებით გარკვეულობა და სინათლე შეიტანონ ამ სფეროში. პირველ რიგში აქცენტები უნდა გაკეთდეს კანონმდებლობის დემოკრატიული პრინციპების ამოქმედებაზე. უფრო დავაკონკრეტებდი სათქმელს: თუ აქამდე მოსახლეობის სიყრდით კრება კომიტეტის შემადგენლობას ირჩევდა 7-11 კაცის ოდენობით, ხოლო კომიტეტის შემადგენლობა ირჩევდა თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს, ამჟამად ეს პროცედურა უფრო დემოკრატიული გახდა. ქუჩის კომიტეტის ხელმძღვანელთა არჩევნები ეწყობა მოსახლეობის ფართო მონაწილეობით.

უფიქრობთ შეგქმნათ ქალაქში საუბნო საბჭოები და მოსახურება გავხადოთ ფასიანი. ეს გარკვეულ მატერიალურ წახალისებას მისცემს ქუჩის კომიტეტებს თავმჯდომარეებს.

ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გვსახება ახლადარჩეული დეპუტატების მჭიდრო კონტაქტი ქუჩის კომიტეტებთან, ამოძრავებულნი და საქმიანობის სწორად კოორდინირება. დიდ ყურადღებას ვუთმობთ ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების, განკარგულებების, მართვის სტრუქტურის სიახლეების გაცნობა-განმარტებას.

## 27 სექტემბერი ტურიზმის მსოფლიო დღეა! გააღვივებს სიცოცხლისადმი ინტერესს

არა მხოლოდ პურიტა ერთ-თა ცხოვრების კაცო, იტყვიან, ამ მოარულ ფრაზაში დევს ჭეშმარიტი აზრი იმის თაობაზე, რომ ყოველი ჩვენგანის ყოფაში სიმშვიდის დამკვიდრება სულიერი და რეალური სურვილებებისა და მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს. უფრო მეტი უნდა გავხადოთ, რათა სიძაბუნე არ შეგვაროს.

შესაძლოა დღეს, როცა ათ-ჯანსაღი დეფიციტით, ფულის ინფლაციით, სამეურნეო კავშირების მოშლით დაუძლურებულ და ნერვებდაბრუნულ მკითხველს აღნიშნულ თემაზე საუბრის წამოწმება უადგილოდ იქნებოდა. მაგრამ იგი ალბათ არ იქნება მთლად სწორი, თუ უფრო ტურიზმის ფუნქციის იგნორირება არანაირ სიტუაციაში არ იქნება გამართლებული. ეს არ გახლავთ კონსერვატიული კატეგორია. პირიქით, ტურიზმი ამ გაჯანსაღებულ ყოფაში ადამიანს ერთგვარ შემწეოდ და მისხად უნდა მოეცლინოს. მას მშვენივრად ძალუქს სტრესის მოუხსნას ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, შეამაგროს ფსიქოლოგიურად, მიანიჭოს მხნეობა და ყოველივე ანბანური ჭეშმარიტება და სადაო არ გახლავთ. პრობლემა სხვა სიტრატუეში მოიხსნება. ყველაფერი დამოკიდებული იქნის უნარსა და გემოვნებაზე, თუ როდის, სად და რა თორმით მოვაწყობთ კოლექტიური, ჯგუფური გასილა ბუნების წიაღში, ღირსშესანიშნავ ადგილებში, სამწუხაროდ, მასობრივი დასვენების ამ მიზნადღეულ

სახეობას არასოდეს იქცეოდა კუთვნილი ყურადღება. იგი მეტწილად მოქცეული იყო ფორმალურად და უსისტემოების ტყვეობაში. საქმეს ვერაფრით წაადგო ეგარეთროდებული მშენ კომპლექსის ეგიდით მოხმობილი ღონისძიებები, რომლებიც უფრო თვალის ასახვევად იყო გამოიწვეული.

არა გვგონია ჩვეულებრივი უბრალო ჯგუფური დასვენების ორგანიზაციის მხარდანი დადგინებები და განკარგულებები ჭირადობად. საქართველო ინციფტივიან ადამიანთა სურვილი და ძალისხმევა, რათა ტურისტულმა ლაშქრობამ, ან თუნდაც ექსკურსიამ ხანტერტესო ფორმა და დატვირთვა შეიძინოს. არც დღემდე თავაწყობილ ტენდენციას უნდა შევებოთ, როცა თურქეთსა თუ სხვა ქვეყნებში ტურისტული მოგზაურობის ბუმი ყოფილად გაუგონარ მასშტაბებს იღებს.

ერთი წუთითაც არ გვამოძრავებს განზრახვა ვინმეს ჰქუთა ვარგოთ. უბრალოდ, კეთილი რჩევის სახით გვიანდა ვუთხროთ საქარმოების, ორგანიზაციების, უწყებების ხელმძღვანელებს, პირველ ყოვლისა კი ტურიზმის პოლოტიკის გატარებზე პასუხისმგებელ შესაბამის სამსახურებს ახლებურად შეხედონ ამ საკითხს. დაძლიონ ძველი, დრომოქმული მიდგომები და ეძიონ არაორღინალური ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის ახლებური სუნთქვის მისანიჭებლად.

შევიყვაროთ ტურიზმი, ვუმეგობროთ მას, ზუგადიდებლობად გავაცნობიეროთ ის ჭეშმარიტება, რომ იგი პატივით, წყალობით გვჭირდება. იგი შემოიტანს ჩვენს ყოფაში იმედს, ხალისს, სიცოცხლისადმი გაუნულეებელ ინტერესს.

ქ. ზუგდიდში ჩამოსულმა ცულად ვიგარქენი თავი. მილიციის თანამშრომელს, რომელიც შევამჩნიე, ვთხოვე დახმარება. მან იქვე მყოფ ამხანაგს დაუძახა. ორივეს ვუთხარი ვინც ვყავი და ვთხოვე პატრონობა. საოცარი გულისხმიერება გამოიჩინეს მს ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების

თანამშრომლებმა, მილიციის კაპიტანმა ზაურ კანტურიამ და თორნიკე ჯოჯუამ. თი თქმის გრძნობადკარგული მიმიყვანეს ქალაქის საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში. ამასაც არ დასჯერდნენ და ჩემს ოჯახს შეატყობინეს გალის რაიონში ჩემი გასაქირი. კარდიოლოგიურ განყოფილებ

ბაში კი სიცოცხლე შემიწარჩუნეს განყოფილების გამგემ გურამ კვარაცხელიამ, ექიმებმა: მანანა ჭირაძე, ნელი კიტაძე, მედდამ ლარისა კოდუამ. გულთაძი მადლობა მათ გამოჩენილი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ნოდარ ნიშარაძე, გალის რაიონი ს. ბეღია.

ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე

სახლდამს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებსა და მათკარულ კოლექტივებში:

ა) მსთმბიქური ალზრდის განყოფილება

ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ქორეოგრაფიული სტუდია (სამეურნეო ანგარიშზე — სტუდიის ხელმძღვანელი ე. ნადარეიშვილი) სტუდიაში მიიღებიან 8-7 წლის ორივე სქესის მოსწავლეები, სწავლების ხანგრძლივობა 4 წელიწადია. მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახეობები: ა) განცხადება ბავშვთა ასაკისა და სცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, ბ) დაბადების მოწმობა (ასლი), გ) ჯანმრთელობის ცნობა, დ) ორცალი ფოტოსურათი 8X4-ზე. მოსწავლეები მიიღებიან 10 სექტემბრიდან.

სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე (პედ. ქ. შამაია, გ. კახანაძე) მიიღებიან ორივე სქესის სათანადო პლასტიკური და რიტმული მონა-

ცემების მქონე 1-ლი-მე-4 კლასის მოსწავლეები.

ვოკალური ჯგუფი (პედ. გ. გამფორია) მიიღებიან 1-ლი, მე-4 კლასის მოსწავლეები.

ქართული ხალხური სიმღერის და სპარავების შემსწავლელი წრე (ფანდური, ჩონგური, ჩანგი, სალამური, დიპლომატო. პედ. ნ. შაქარია, ქ. კლასოსა) მიიღებიან 1-11 კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეთა საძალაო თეატრი-სტუდია „ათინათი“ (ხელმძღვანელები დ. სულხანიშვილი, მ. ჯაფარიძე) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე 1-ლი-მე-11 კლასის მოსწავლეები.

მხატვრული კითხვა (პედ. ნ. ჭიანავა) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე 1-ლი-მე-11 კლასის მოსწავლეები.

ჩასაბმრი ინსტრუმენტები (პედ. ა. შამაია) მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე 1-ლი-მე-8 კლასელი ვაშები.

ქართული ენა-ოცნობასტიკის წრე (მიიღებიან მე-1-მე-8 კლასელი ვაშები.

ნორჩ უფრომადთა წრე — მიიღებ, ნ. სათანადო მონაცემების მქონე 1-ლი, მე-11 კლას-

სელი მოსწავლეები.

ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლი და ვოკალურ-სპარავიერი ორკესტრი „ოცნობი“ (ხელმძღვ. ნ. შამფორია, ზ. კახანა, კონსულტანტი ნ. ედილაშვილი) მიიღებიან განსაკუთრებული ვოკალური და მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეები.

ბ) ტანციკური განყოფილება

ბამოთვლითი ტანციკის და ინფორმაციის წრე (პედ. დ. კარტოია) მიიღებიან მე-4-მე-11 კლასის მოსწავლეები.

თეიმკოსტა წრე (პედ. დ. ანჯაფარიძე) მიიღებიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები.

რადიომოცხარულთა წრე (პედ. რ. კიტია) მიიღებიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები.

ავიომოდელისტთა წრე (პედ. ა. კვარაცხელია) მიიღებიან მე-4-მე-11 კლასის მოსწავლეები.

ფოტომოცხარულთა წრე (პედ. ი. ყუფუნია) მიიღებიან მე-4-მე-11 კლასის მოსწავლეები.

საოცხარე მსთმბიკის და

ნორჩ ხელმარჯვეთა წრე (პედ. მ. თვალთვაძე) მიიღებიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები.

გ) სამხარმთმკოდნეო ნატურალისტური მუშაობის განყოფილება

ეკოლოგთა წრე (პედ. ც. მელია) მიიღებიან მე-4-მე-8 კლასის მოსწავლეები.

ტურიზმის წრე (პედ. ა. ბაკურაძე) მიიღებიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები.

ნორჩ ნატურალისტთა წრე (პედ. დ. კვანთალიანი) მიიღებიან მე-5-მე-8 კლასის მოსწავლეები.

მხარმთმკოდნეთა წრე (პედ. ფ. მირცხულავა) მიიღებიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები.

დ) კომპიუტერული განყოფილება

ქართული ენის შემსწავლელი წრე რუსული სექტორისათვის (პედ. დ. ახალია) მიიღებიან მე-8-მე-8 კლასის მოსწავლეები.

სადმთო სკოლის და რეალისის ისტორია (პედ. ა. ბაქალია) მიიღებიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები.

კლუბი „ალბინი“ ინტელისკრი ენის ბაპლიკრბუალი სწავლება (პედ. ა. მარტიანი) მიიღებიან მე-8 მე-11 კლასის მოსწავლეები.

ინგლისური ენის შემსწავლელი წრე (პედ. ნ. დარახელია) მიიღებიან მე-2-მე-8 კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეები მიიღებიან 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „კოლხა“, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „მერისის მერცხლები“ და „ივანია“, ვოკალურ-საკრავიანი და ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლი „ოცნობი“, ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი „მეფე-ლია“, უმცროსკლასელთა ანსამბლი „გაზაზხული“, ყველა დასახელების კლუბები, სასახლის ბიბლიოთეკა, დაკომპლექტებული წრები მუშაობენ 20 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასახლეს.

მინსტარტი: ზუგდიდი, ქ. გ. მხატვრულია ქ. №12, ტელ. 2-29-04, 2-81-11, 2-85-45, 2-89-86.

საკუთარი ძალების რეგულირება

დ. ზუგდიდი, ცენტრალური სტადიონი „ოლივი“ (ზუგდიდი) — „იბერია“ (თბილისი) 1:0

ტურის ამ ცენტრალურ თამაშში „იბერია“ თითქმის ერთგვარ გამოცდას უწყობდა ზუგდიდის „ოლივი“-ს, თუ რამდენად სერიოზულია მათი პრეტენზია იყოს უროვნულ ჩემპიონატზე...

სტუმრები უბედურად მოელოდათ, ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყველაშვილისა და რა არველაძის მაღალი ტექნიკა...

ხელაც არ ჩართულა სერიოზულად თამაშში, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს განსაკუთრებით გოლის გაშვების შემდეგ ჰქონდათ უპირატესობა...

ერთადერთი ბურთი კი ამ თამაშში გავიდა 58-ე წუთზე. მაღალიმ ცენტრით წაიწია წინ, მეთაუროვდა საჭარბო მოედანს...

რედაქტორი პ. ზანტურია

მეოთხე პოლიანტი. შვილები: შავა, თემურ. შვილიშვილები: ხატია, დიმიტრი აბრამიძე; დიმიტრი ციცი, ნორა, ვალია ციცილიძე...

ბუნებათსარგებლობისა და გამაჯანსაღებელი ბელ მეურხეობათა ბიზნესის უმჯობესი უწყვეტი

აქხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე: მინერალური და მძაპარი წყლების მეურხეობის მართვა — 50 ადგილი.

— რაზონის ეკოლოგიური მართვა — 50 ადგილი — ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა და კვების პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლი — 100 ადგილი.

— საპროტექტორი და ტერიტორიული რეგულირების მართვა — 50 ადგილი.

კონტინენტის შერჩევა მოხდება გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება ჩატარდება მათემატიკაში, ქართულ ენაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში.

ჩარიცხვა მოხდება მისაღები კომისიის გადაწყვეტილებით დატოვილი ქულების საფუძველზე. აბიტურიენტი გამოცდაზე დაიშვება მას შემდეგ, როდესაც გადაიღობს 100 მანეთს მისაღები გამოცდების საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად.

უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. დათავრების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ უმაღლესი განათლების დიპლომს, სწავლების საფასურა შეადგენს სუთი ათას მანეთს ყოველწლიურად, გადასაწარი წარაღებს, როგორც ნაღდ ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით.

საბუთები მიიღება ყოველდღე 20 სექტემბრამდე, 15 საათიდან 20 საათამდე, გასაუბრება — 1 ოქტომბრიდან — 10 ოქტომბრამდე.

სწავლა დაიწყება 14 ოქტომბერს.

უმაღლეს სკოლაში შემსვლელდება განცხადებას თან უნდა დაურთონ საშუალო განათლების დოკუმენტი, სამედიცინო ცნობა, 6 ფოტოსურათი (8X4).

პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარადგენენ პირადად. ჩვენი მისამართია: თბილისი, თბილისის გზა 21-23 (20-ე პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა, მეტრო თბილისი).

ცნობები ტელეფონით 61-88-51; დედა ქარის დღე აბიტურიენტებისა და მშობლებისათვის გაიმართება 20 სექტემბერს დღის 12 საათიდან.

დელა ქსენია, მეოთხე ზოგა ლატარია, შვილები: ლიკა, ლიზა და ქუქუნი. შვილები: ლიკა, ლიზა და ქუქუნი. შვილები: ლიკა, ლიზა და ქუქუნი.

შვილები: თინა, იზოლდა, ვაჟა, პანტე, რძლები: ვენია ჩიქოვანი, ცუცუა ქიჩია, ნელი ციცილიძე, ვალია იზორია, თამარიკო ვალიალონი, მული ღვინია ქარაია, მისიშვილები: ჯულიეტა, ენგერი, ტარილი ჩიქოვანი, სიმეონი, ალიომა აბსაია, გიორგი ბუსქანძე, დიმიტრი კახანაძე, რამონ ხორგოვანი, ბესიკ კოხანაია, შვილიშვილები: თენგიზი, შიკა, ირა, პატა, გიორგი თოდუბანი, დოდო, სოსო აბსაიანი, ტრისტან ბუსქანძე, ბიძაშვილები: ვერაქა, შანტო, თამარიკო, მერი ჩიქოვანი, მარტინიშვილები: შოთა, ნანი, ნარგიზა, ჯემალი, მურმანი თოდუბანი, შვილიშვილები ბორისი, იმეზე ქახანაძე, შინალები: დენია ქიჩია, ზინა ბუსქანძე, შვილიშვილები: ივანე თოდუბანი, ნათიკა თოდუბანი, იუწყებთან ლილია (გუგუ) ზესლანის ასულ ჩიქოვანი-თოდუბანი.

გარდაცვალებას: პანაშვიდი 25, 26, 27 სექტემბერს, დაკრძალვა 28 სექტემბერს სოფელ ტაბაში.

გამოსრდელი: შურა, მეოთხე გულნაზი, შვილები: ბორისი, მინია, ბებულა, დეზო: ნანი, ჟინა, ნათელა, ჩატარაძეები, რძლები: ზოია კოხანაია, ხატია ლორწყალი, ირაქა ჭაფანიძე, მიზონა ბიკიშვილი, ნატო კვიციანი, სიმეონი: ზაურ რიგაია, პავლეშვილი, ვალიკო საბუჯია, მიშო ჯიქია, მამუკა ქილიკაძე, დისშვილები: ზურა, ივ, ზაური, რუსუდანი, ლიკა, დინია, ცისანა, იოსებ ლორწყალი, ცოლი, ნონა, დემური, ნინო საბუჯია, შიკა, ნატო ჯიქია, მისიშვილები: ბორისი, ნორა, კლარა, მელანა, რამაზ ქაჯარაძეები, შვილიშვილები: ივა, ემა, სოფიკო რიგაია, მალხაზ, ქრისტინე ქაჯარაძეები, ცოლისძებნი: ლამარა, ვაჟონა, ნელი, ნინო, გიშა, ცოლისძებნი გურამ სხულონიძე, ქრისტინე: ვარლამ თინათინა, ტატინი გოგილაია, თინა ცხალაია, გურამ მოლაშვილი, არლო უიშარაძანი, ზონიკ თოდუბანი, მზახლბი: ლილია, ენუქი კოხანაია, ბიძაშვილები: დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, იუწყებთან ლილია ლორსონი ქაჯარაძის გარდაცვალებას: პანაშვიდი 26, 27, 28 სექტემბერს, დაკრძალვა 29 სექტემბერს, სოფ. ინაოპი, გამოსრდელი: გორბინ ქ. 19.

ქუჩიკო ნარმანია ივანე იუწყებთან სოსო ნიკოლოზის ძე ჭინჭოლაძის გარდაცვალებას: პანაშვიდი 25, 26, 27 სექტემბერს, დაკრძალვა 28 სექტემბერს, გამოსრდელი: თამარ ყუფუნია ქუჩა №82.

ქ. ზუგდიდის №62 პროფტექნიკური სასწავლებლის პედ-კოლმეტირ და ტექნიკური თანაუგრძნობენ ამავე სასწავლებლის მასწავლებელს ნათელა ებრაელიძის მშახლის სოსო ჭინჭოლაძის გარდაცვალების გამო.

მეოთხე ანზორი, შვილები: ზურა, თენგიზი, კობა ჩიქოვანი, სილვარი მარო, შიკა ნუგზარ დანელიძე, რძლები: თამილა, ელისო, ია, როზა, დოდო, მანანა, მარტო ჯიშვილი, შვილები: ლამარა, გიშა, მიშოზა, ლინდა ჩიქოვანი, შვილიშვილები: გიგა, გოგა, ივა, ლევა, ანზორი, ნელი, მისიშვილები: ემზარი, იზა, ია, შიკა, შინა დანელიძეები, სიმეონი ქორეკი გულარაია, სარდიონ ფიფია, რუბინ თორა, შიქოვანი ანთია, თეილა მარუსია, ბიძა ანთია გოგიანიძეები, მარტოშვილი მანუჩარ ჩიქოვანი ივანე იუწყებთან ავრობით იუწყებთან ნელი ალექსანდრეს ასულ ფანელიძე-ჩიქოვანი.

გარდაცვალებას: პანაშვიდი 25, 26, 27 სექტემბერს, დაკრძალვა 28 სექტემბერს 5 საათზე სოფ. ოქტომბერში.

მეოთხე გივი ჰელიძი, შვილები: ლინა, კოტი, შურა, რძლები: მარტინა ასირტაძე, მარტო როზაქიქია, ნერო არლოშვილი, მარგო ბერაია, ვალია სურგენია, და ქუქუნი, მამა ადამი გულნაგივი, შვილიშვილები: ხათუნა, ლილა, პაატა ქარასანიძეები, თეონა გივი, ანზორი ჰელიძეები, სიმეონი: ანზორ ქარასანიძე, ვანო ჯეგვეციკი, დისშვილები: ზურა, მანუკი, მანუკი, მანუკი, ზურა, რაბი კვიციანიძეები, მისიშვილები: პალიკო, ლეგოვი, რამონი, გიშვილი, გოგა, მერაბი, იოსებ გულნაგივი, ბიძაშვილები: ირალი, მიშო, ქუჩიკი, ჩიკი, ტარიანი, მიშო, ირაიკი, მარტო, ლილია, თინა, გოგოლა, მარტო, იუშაგი ჰელიძეები, დედიაშვილები, მამიაშვილები, იუწყებთან გულნარა ალექსანდრეს ასულ გულნაგა-ჰელიძის გარდაცვალებას: პანაშვიდი, 25, 26, 27 სექტემბერს, დაკრძალვა 28 სექტემბერს 17 საათზე, თეთრი გორის მიორა ჩიხა 4, (ყოფილი სპორტოლის მი-2 ჩიხა).

მეოთხე ნენი, შვილები: გურამი, როლანდი, ვაგულო, ბარბა, მანონი, შიკა, შვილიშვილები: ლეიანი, მანანა, ლილა, ლიკა, ცირა, ირაკლი, ვერიკო, ილია, და ვალენტინა, რძლები: რაიკა ხუფენია, თეონა კვიციანი, ნანი სამუშია, სიმეონ აბესალომ ლუკაია, მისიშვილები: თეონიკო, ლეოლა, ნონა, დისშვილები: ზენი, შოთა, რამაზი დავითიანი, ბიძაშვილები, დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, რომ გარდაცვალებას: შალვა ილიას ძე შაქაცარია.

პანაშვიდი 24, 25 სექტემბერს, დაკრძალვა 26 სექტემბერს, გამოსრდელი 17 საათზე, გორის რაიონის ქ. 1-დან.

მეოთხე ნენი, შვილები: გურამი, როლანდი, ვაგულო, ბარბა, მანონი, შიკა, შვილიშვილები: ლეიანი, მანანა, ლილა, ლიკა, ცირა, ირაკლი, ვერიკო, ილია, და ვალენტინა, რძლები: რაიკა ხუფენია, თეონა კვიციანი, ნანი სამუშია, სიმეონ აბესალომ ლუკაია, მისიშვილები: თეონიკო, ლეოლა, ნონა, დისშვილები: ზენი, შოთა, რამაზი დავითიანი, ბიძაშვილები, დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, რომ გარდაცვალებას: შალვა ილიას ძე შაქაცარია.

პანაშვიდი 24, 25 სექტემბერს, დაკრძალვა 26 სექტემბერს, გამოსრდელი 17 საათზე, გორის რაიონის ქ. 1-დან.

მეოთხე ნენი, შვილები: გურამი, როლანდი, ვაგულო, ბარბა, მანონი, შიკა, შვილიშვილები: ლეიანი, მანანა, ლილა, ლიკა, ცირა, ირაკლი, ვერიკო, ილია, და ვალენტინა, რძლები: რაიკა ხუფენია, თეონა კვიციანი, ნანი სამუშია, სიმეონ აბესალომ ლუკაია, მისიშვილები: თეონიკო, ლეოლა, ნონა, დისშვილები: ზენი, შოთა, რამაზი დავითიანი, ბიძაშვილები, დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, რომ გარდაცვალებას: შალვა ილიას ძე შაქაცარია.

პანაშვიდი 24, 25 სექტემბერს, დაკრძალვა 26 სექტემბერს, გამოსრდელი 17 საათზე, გორის რაიონის ქ. 1-დან.

მეოთხე ნენი, შვილები: გურამი, როლანდი, ვაგულო, ბარბა, მანონი, შიკა, შვილიშვილები: ლეიანი, მანანა, ლილა, ლიკა, ცირა, ირაკლი, ვერიკო, ილია, და ვალენტინა, რძლები: რაიკა ხუფენია, თეონა კვიციანი, ნანი სამუშია, სიმეონ აბესალომ ლუკაია, მისიშვილები: თეონიკო, ლეოლა, ნონა, დისშვილები: ზენი, შოთა, რამაზი დავითიანი, ბიძაშვილები, დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, რომ გარდაცვალებას: შალვა ილიას ძე შაქაცარია.

პანაშვიდი 24, 25 სექტემბერს, დაკრძალვა 26 სექტემბერს, გამოსრდელი 17 საათზე, გორის რაიონის ქ. 1-დან.

მეოთხე ნენი, შვილები: გურამი, როლანდი, ვაგულო, ბარბა, მანონი, შიკა, შვილიშვილები: ლეიანი, მანანა, ლილა, ლიკა, ცირა, ირაკლი, ვერიკო, ილია, და ვალენტინა, რძლები: რაიკა ხუფენია, თეონა კვიციანი, ნანი სამუშია, სიმეონ აბესალომ ლუკაია, მისიშვილები: თეონიკო, ლეოლა, ნონა, დისშვილები: ზენი, შოთა, რამაზი დავითიანი, ბიძაშვილები, დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, რომ გარდაცვალებას: შალვა ილიას ძე შაქაცარია.

პანაშვიდი 24, 25 სექტემბერს, დაკრძალვა 26 სექტემბერს, გამოსრდელი 17 საათზე, გორის რაიონის ქ. 1-დან.

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი (დავით აღმაშენებლის ქუჩა № 4) 26 სექტემბერი

ფანჯურთში საქართველოს ეროვნული თასის 1-16 ფინალური განმეორებითი თამაში „ოლივი“ ზუგდიდი — „არსენი“ წნორი დასაწყისი 16 საათზე.

(საპროტექტორი ეროვნული ჩემპიონატი ფანჯურთში (უმაღლესი ჯგუფი) 29 სექტემბერი (სათადარიგო შემადგენლობა) „ოლივი“ ზუგდიდი — „შუთისი“ შუთისი დასაწყისი 15 საათზე.

30 სექტემბერი (ძირითადი შემადგენლობა) „ოლივი“ ზუგდიდი — „შუთისი“ შუთისი დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობის თამაში გაიმართება ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სტადიონზე.

სტადიონის შესასვლელი ბილეთები გაიყიდება 26 და 30 სექტემბერს ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის საღარიბოში დღის 10 საათიდან.

საფანჯურთში კლუბი „ოლივი“.

მეურხეობა ტრადიციული წამლებით

ტრადიციული წყლები, ოსტეოპეტიტი, მუნი, პროტატი, ოსტეოპოროზი, მარტივის დაგროვება, პემაროი (ბუხალი), კუნაწვა, სანადვო გზები, აი იმ დაავადებათა არასრული სეა, რომელსაც მაღალხარისხიანი სამეურხეობა მცენარეებითა და მალაშებით მეურხეობას ხალხური მედიცინის თანამშრომელი ნაილი ხეთარელი.

წამლები დაშტაცებულია საქართველოს ფარმაცოქიური ინსტიტუტის მიერ.

მეურხეობა წარმოებს დიაგნოზის მიხედვით. მეურხეობა ავადმყოფებს ხელზე აძლევს სამეურხეობო მცენარეებს და ასწავლის ბინაზე წამლის დაშლადების წესებს.

იგი ჩვენს ქალაქში დარჩება 18 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე.

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე 12-დან 20 საათამდე. მისამართი: ქ. ზუგდიდი, ავ. წერეთლის ქ. №6.

დელა ოლია, მეოთხე ნენი, შვილები: გურამი, როლანდი, ვაგულო, ბარბა, მანონი, შიკა, შვილიშვილები: ლეიანი, მანანა, ლილა, ლიკა, ცირა, ირაკლი, ვერიკო, ილია, და ვალენტინა, რძლები: რაიკა ხუფენია, თეონა კვიციანი, ნანი სამუშია, სიმეონ აბესალომ ლუკაია, მისიშვილები: თეონიკო, ლეოლა, ნონა, დისშვილები: ზენი, შოთა, რამაზი დავითიანი, ბიძაშვილები, დედიაშვილები, მამიაშვილები, ივანე თოდუბანი, რომ გარდაცვალებას: შალვა ილიას ძე შაქაცარია.

პანაშვიდი 24, 25 სექტემბერს, დაკრძალვა 26 სექტემბერს, გამოსრდელი 17 საათზე, გორის რაიონის ქ. 1-დან.

ი ნ დ ე ქ ნ ი 08507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კობტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-00, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლმეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-17-00.

ბეჭდვითი ნიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა; მერაბ კობტავას ქ. №56, 2-24-07, ტირაჟი 8000 შეჯ. №4804